№ 18. 25 იანვარი, ოთხშაბათი 1866—1884 25 იანვარი, ოთხშაბათი. № 18.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

«დროების» რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიისაკენ.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მან; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თ.—2 მ; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე ორი კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

«დროების» ფასი პირველის თებერვლიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი და 50 კაპ.

«დროება» ცალ-ცალკე ნომრობით იყიდება თბილისს გარდა:

ქუთაისში—ჭილაძის წიგნის მაღაზიაში,

ბათუმში—ალიბეგოვის მაღაზიაში, ზღვის პირზედ,

ფოთში—საზოგადოების დეპოში,

ხაშურში—რკინის-გზის ბუფეთში—ძნელაძესთან.

არწრუნის თეატრი.

დღეს, 25 იანვარს

ქართული სცენის მოყვარეთ დახმარებით დრამატიული დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

I

ორ ცეცხლ შუა

დრამა 3 მოქმედებად.

II

მეხუთე მოქმედება

თამარ ბატონიშვილი

თხზულება ა. მესხისა.

III

დივერტისმენტი

დასაწყისი 8 საათზედ. (1—1)

იანვრის 26, თებერვლის 9 და 16 დანიშნულია

გორის «კრუჟოკში»

„მასკარადი"

იქვე დანიშნულია

იანვრის 29, თებერვლის 5, 12 და 19

სატანცაო საღამოები

(5—1)

## ძველ ყალიბზედ შემდგარი ახალი კომისია

თბილისი, 25 იანვარს.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ დიდი ხანი არ არის, რაც გაათავა თვისი მოქმედება მამულების რწყვის კომისიამ, ანუ იმისთანა კომისიამ, რომელსაც უნდა გამოეკვლია, რა წესით უნდა დამყარდეს სარწყავი წყალით სარგებლობა ჩვენს ძალზედ წყალ-მოწყურებულ ქვეყანაში. თვალ-საჩინოა ყველასათვის, რა მძიმე და მთელის ჩვენის ქვეყნის შესახები საგანი ჰქონდა მინდობილი ამ კომისიას და არავინ უბრალო ცნობის-მოყვარეობას არ დასწამებდა ჩვენს საზოგადოებას, თუ კი ეს უკანასკნელი მოიწადინებდა კომისიის სხდომებზედ დასწრებას, ან იმის გაგებას მაინც,—რასა სჯის ეს კომისია და როგორა სჯის.

დასამალავი აქ არა იყო-რა; საქვეყნო საქმეს ქვეყნის ხმა თუ სარგებლობას არ მოუტანდა, არას აზიანებდა, მაგრამ ხსენებულმა კომისიამ,... პირ-საბურველი ჩამოიფარა და საზოგადოებასაც ამაო ცნობისმოყვარეობის ალუძრა...

დიდ-ხანს იყო საზოგადოება ამ მოლოდინში; კომისიამაც სანაქებოდ შეინახა თვისი საიდუმლოება... 5 ნოემბრიდამ მოკიდებული 19 დეკემბრამდე თექვსმეტი სხდომა გამართეს, რომელზედაც ჩვიდმეტი წევრი კომისიისა თითქმის უკლებლივ ესწრობოდენ; ერთი პატივცემული თვისი წევრი დამარხეს კიდეც; სხდომების გათავების შემდეგ სადილიც გამართეს...

მამულების რწყვა, როგორც მოგეხსენებათ, უმთავრესი საგანია ჩვენს მეურნეობაში. უწინ ეს საქმე ისე მძიმედ და საჭიროდ მიაჩნდათ, რომ დიდროვანი არხების გაყვანასაც კი არ ერიდებოდენ და ამ არხების ნაშთებს განცვიფრებაში მოჰყავს ახლაც ჩვენს ქვეყანაში მოგზაურები.

თუ ასე იყო უწინ, ეხლა წყალი უფრო კიდევ მეტს საჭიროებას უნდა შეადგენდეს, როდესაც მოტიტვლებული მთები იმდენს ნოტიოს ველარა ჰკრეფენ და მთის წყლები ამის გამო მაშინ შრებიან ხოლმე, როდესაც უფრო საჭირონი არიან. რაც უწინ სამსა და ოთხს სოფელს ჰყოფნიდა, ეხლა ერთსა და ორს აღარა ჰყოფნის და თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, რა შფოთი და დავი-დარაბა უნდა ატყდეს მოცილე სოფლებს შორის და აკი ატყდება ხოლმე კიდეცა. ყოველივე ეს გარემოება ძალას ატანდა აქაურს ხელმძღვანელებს, რომ ამ საქმისათვის ეზრუნათ როგორმე და თავის კალაპოტში ჩაეყენებინათ.

დიდი ხანია, რაც მამულების რწყვისა და სარწყავ წყალზედ უფლების გამორკვევისადმი იყო განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი საფუძველი არ დამყარებულა, რომელზედაც შეიძლებოდეს მთელის სისტემის აგება.

ეხლა საქმე სხვაფრივ დატრიალებულა. თუმცა კომისიას ბევრი რამ დარჩენია გამოსარკვევი, თუმცა მას სრულებით არ მიუქცევია ყურადღება, მაგ., იმ საგანზედ—თუ რა საშუალებით შეიძლება სარწყავი წყლის გადიდება, როგორ უნდა დაცული იყოს ხელშეუხებლად ტყეები წყლის სათავეებში, მაგრამ მაინც ზოგიერთი იმისთანა საფუძვლები გამოურკვევია, რომელთაც შეუძლიანთ ცოტათიც არის მეტი რიგიანობა ჩამოაგდონ სარწყავი წყლით სარგებლობაში.

ამ საფუძვლებზედ, რამდენადაც კი შეგვიძლიან მათი შეტყობა, ხვალ მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს.

## შინაური ქრონიკა

— ბათუმში ვიცე-გუბერნატორის თ. ერისთვის და პოლიცმეისტრის ბ. კოზნესესენკის თაოსნობით გაუმართავთ ტანცაობის საღამო «ცენტრალურ სასტუმროში» «წერა-კითხვის საზოგადოების» იქაური სკოლის სასარგებლოდ და ამ საღამოდამ შემოსულა 55 მანათი. ჩვენა გვთხოვენ, რომ ორს ზემოხსენებულს პირს მადლობა გამოვუცხადოთ სკოლის მხრივ ამ საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის.

— განჯიდამ გვწერენ, რომ იქაური მღ. გ. ჩ. ისე მიიჩნია საზოგადოებამა, რომ მისმა უფროსმა შური აიღო, მთავრობასთან დაასმინა და გ. ჩ—ს ერევანში გადაყვანა დაუპირეს. მაგრამ თითქმის მთელმა მრევლმა სთხოვა მთავრობას, რომ გ. ჩ. ისევ განჯაში დაარჩინონ, რადგან თვისის მშვიდის ხასიათით და ღარიბის განკითხვით გ. ჩ. მთელი საზოგადოების საყვარელი შეიქმნაო. განჯელებს ჯერ საჩივრის პასუხი არ მოსვლიათ, მაგრამ დარწმუნებულნი არიან თურმე, რომ თუ, ვინიცობაა, გამოძიება დაინიშნა, ცრუ-დამბეზღებელს ბევრი ავკაცობა გამოაჩნდებაო.

— მცველი ჭეშმარიტება, რომ მოხელე ხალხისათვის არის გაჩენილი, ეს ჯერ კიდევ ვერ გაუგია თურმე ართვინის ფოსტის დროებით გამგებელს და საბრალო ართვინელებს ოთხჯერ-ხუთჯერ მაინც გაასეირნებს ხოლმე ართვინის ოღრო-ჩოღრო ქუჩებზედ ერთის წერილის მისაღებად. ერთხელ და ორჯერ მისვლა არა სჯერის თურმე. ბ. ფოსტის გამგებელი ხან ჩაის მიირთმევს, ხან სტუმრადა ბძანდება იმ დროს, როდესაც ფოსტაში უნდა იჯდეს და ხან უზდელი «შენთვის არა მცალიან»-ითაც ისტუმრებს ქვეყნის ამბის გაგონის მოწყურებულთა.

— კვირას, 22 იანვარს, მოხდა კრება 1-ლი სავაჟო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებისა, რომელზედაც მოხსენებულ იქმნა ანგარიში 1883 წლისა. ამ ანგარიშიდამა სჩანს, რომ საზოგადოებას 250 წევრი ჰყავს და 8600 მან. ხელ-უხლებელი თავნი აქვს. წარსულ წელს საზოგადოებას 2000 მან. მარტო კურს გათავებულებისათვის დაურიგებია უნივერსიტეტის ქალაქებში წასასვლელად. ამ სხდომაზედ ბ. კასუმოვმა შესწირა საზოგადოებას 50 ეგზემპლიარი თავის «მოგზაურობისა» და არ აუხსნა კი, როგორ გამოიყენოს იგი. კრებაზე აღიძრა აგრეთვე ბაასი, რომ გაიმართოს იაფი სასადილოები მოსწავლე ყმაწვილებისათვის. ამ საქმის რიგიან საფუძველზედ დაყენებისათვის გადასწყვიტეს მოიწვიონ მომავალ კვირისათვის, 29 იანვ., წევრნი გამგე კომიტეტებისა ყოველ სასწავლებელთან გამართულ ქველ-მოქმედ საზოგადოებათა და აგრეთვე სხვა გულ-შემატკივარნი პირნი და საერთოდ მოილაპარაკონ ამ მართლადაც საჭირო საგანზედ.

— «არძაგანქი» გვაუწყებს, რომ კვირას, 29 იანვარს, სომხების ყველა ეკლესიებში თბილისში იქნებიან ამორჩეულნი დეპუტატები, რომელნიც თავიანთ მხრივ ამოირჩევენ ერთს წარმომადგენელს საქართველოს ეპარხიისას ეჩმიაძინში დასასწრებლად პატრიარხის ამორჩევის დროს მომავალს მაისში.

— ბათუმში აპირობენ მართლ-მადიდებელი ეკლესიის აგებას. ამ საგნისათვის წარსულს მარტს გაიმართა ხელის-მოწერა და, «ნოვოე ვრემიას» სიტყვით, ჯერ-ჯერობით მოგროვდა 16,920 მან. ხელმწიფე იმპერატორს შეუწირავს ამ ფულში 3000 მან., ხელმწიფე იმპერატრიცას 1000 მან., დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის-ძეს 1000 მან., და მის მეუღლეს 1000 მან.,

— ერთს ინგლისურს ჟურნალში დაბეჭდილია მოხსენება ინგლისელი კონსულისა სტამბოლში შესახებ იმ მდგომარეობისა, რა მდგომარეობაშიაც ჩაცვივდენ სპარსეთთან მოკავშირე ინგლისელი ვაჭრები შემდეგ ამიერ-კავკასიაზედ ტრანზიტის მოსპობისა. კონსული ამბობს, რომ თუმცა რუსეთის საქონელი დიისებით დაბლა სდგას ინგლისურ საქონელზედ, მაგრამ შემდეგ ტრანზიტის მოსპობისა რუსული საქონელი თავისუფლად შედის სპარსეთში და ინგლისმა კი ან დიდ-ძალი ტამოჟნის ხარჯი უნდა აძლიოს, თუ კავკასიაზედ გაივლის, ან მცირე აზიაზედ გაიაროს, სადაც გზის ხარჯი ერთი სამად მეტია, ვიდრე კავკასიაზედაო. ეს გარემოება მეტად ცუდად მოქმედობს ინგლისელების ვაჭრობაზედ და საშველი მხოლოდ ის იქნება, რომ შავი-ზღვის ნაპირიდამ მცირე აზიაში სპარსეთამდე ან რკინის გზა გაკეთდეს, ან კარგი ქვაფენილიო, მაგრამ ოსმალეთის მთავრობა ამის წინააღმდეგია სტრატეგიულის განზრახვითაო. ამ მდგომარეობას თუ არა ეშველა-რა, სპარსეთის ვაჭრობა და აგრეთვე სხვა სახანოებისაც მარტო რუსეთს ჩაუვარდება ხელშიო.

— გაზეთი «მშაკი» გვატყობინებს, რომ ქ. შაჰრუთში უიზბაშებს და სომხებს ერთმანეთში დიდი შეტაკება მოსვლიათ. ამ დროს ბევრი სომხის დუქნები გაცარცულა. საქმე დაწყებულა ერთი ქურდი უიზბაშის გამო, რომელიც სომხებს ქურდობაზე დაუჭერიათ და მთავრობისთვის წარუდგენიათ. სომხებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეგრაფით თურმე შეატყობინეს რუსეთის ელჩს ტეგერანში ეს უწესოება, რომელიც მაშინ მოისპო, როდესაც თვით შაჰის ბძანებით დაწერილი ტელეგრამა მოვიდა. შაჰი სწერდა თურმე, — თუ ახლავე არ მოსპობთ უწესობას, მაგ ქალაქს სულ ერთიანად დავანგრევ და გავანადგურებო.

≈ ივნისიდამ იყიდება თბილისში პური «ონიკოვისა და კამპანიისა» ორთქლის ფურნეში გამომცხვარი. «ახალი მიმოხილვა» გვაცნობებს, რომ მოთმინებიდამ გამოსული მყიდველების თხოვნით ვაჭრობის ზედამხედველებს აუკრძალავთ ამ ფურნის პურის ყიდვა, რადგანაც ეს პური არც წონით იყიდება და გადაწყვეტილ ტაქსაზედ უფრო ძვირადაც. ამ პურით ვაჭრობა მარტო სოლდათის ბაზარში აუკრძალავთ გოლოვინის პროსპექტზე და მიხეილის ქუჩაზე კი უწინდებურად ვაჭრობენო.

≈ ავლაბარს, თბილისის სხვა ნაწილებთან მისასვლელ-მოსასვლელად ორი გზა აქვს — ერთი ჩუღურეთიდგან და მეორეც ავლაბრის აღმართიდგან. ორივ უხეირო და მაღალი აღმართებია. ამით მისვლა-მოსვლა ავლაბარში ძალიან საძნელო საქმეს შეადგენს ქალაქელებისთვის. ამიტომ, ძალიან სასიამოვნოდ უნდა დარჩეთ ქალაქელებს, რომ თბილისის გამგეობა ამ ბოლოს დროს შეუდგა რიყიდამ მესამე გზის აყვანას ავლაბარში. ეს გზა დანარჩენებზე უფრო სახერხო და საადვილო გზა გამოდის. იწყობა თითქმის რიყის სათავიდგან, ჩუღურეთთან ახლო, სჭრის ავლაბრის მაღალი კლდის შუაწელსა, ქამარივით ევლება ამ კლდეს და გადის ზედ ავლაბრის შუა-გულში.

გზა იქნება, როგორც ეტყობა, კარგა განიერი და ფართო. დასაქანებელი ადგილები თითქმის არსად არ ექნება. ოდნავ დაღმართი მოსდის მას თავიდამ ბოლომდის.

ამ სასიამოვნო ამბავს ერთვის უფრო სასიამოვნო გარემოება: გზის გასაკეთებლად ამუშავებენ ტუსაღებს, რომელთაც მსუბუქი დანაშაულობა აქვთ, და, მაშასადამე, გაქცევის შიში არ არის. ეს სანაქებ განკარგულება თურმე ბ. გუბერნატორს მოუხდენია; როგორც გვეუბნებიან, 70 ტუსაღი მუშაობს მუდამ დღე ამ გზაზე. ვინატრებთ, რომ ხშირად ისარგებლონ ამ გვარად საცოდავი ტუსაღების ძალა-ღონით, რომელიც ეხლა მუქთად იკარგება ქვეყნისათვისაც და თითონ ბედ კრული ტუსაღებისთვისაც.

≈ ერთს რუსეთის ვაჭარს კოტოვს გაუგზავნია წარსულს ზაფხულში ჩვენებური და ბესარაბიის ღვინოები ინგლისში. ღვინოები იქ ძალიან მოსწონებიათ და ამიტომ კოტოვი ადგენს კომპანიას რამდენიმე კაპიტალისტის დახმარებით, რომ საზღვარ-გარეთთან ამ ღვინოებით წესიერი ვაჭრობა გამართოს. (Новости).

## უცხოეთი

კარგა ხანია, რაც ოსმალეთის მმართებლობის და კონსტანტინოპოლის მართლ-მადიდებელი ეკლესიის შორის განხეთქილება დაიწყო და ამ ბოლოს დროს იქამდინ მიაღწია, რომ ეხლა ოსმალეთის შინაურს პოლიტიკაში ამ განხეთქილებას უჭირავს პირველი ადგილი და ისედაც დახლართული საქმეები ოსმალეთისა, ამან უფრო დახლართა და გააძნელა.

მიზეზი ამ განხეთქილებისა მდგომარეობს იმაში, რომ სულთანი და მმართებლობა შეეხნენ იმ განსაკუთრებულ უფლებათ და პრივილეგიათ, რომელნიც მართლ-მადიდებელ ეკლესიასა აქვს მინიჭებული იმავ თავითვე, თითქმის იმ დღიდგან, როდესაც სულთან მურადმა კონსტანტინოპოლე დაიპყრო. ეს პრივილეგიები ანიჭებენ მართლმადიდებელ ქრისტიანთ უფლებას, სხვათა შორის, ზოგიერთა თავის საკუთარ საქმეთა გამგეობისას, ანუ, სწორედ ვსთქვათ, ავტონომიას, თვით-გამგეობას, კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელმძღვანელობით და წინამძღოლობით. სასულიერო საქმეთა გარდა, ქრისტიანები განაგებდენ და სწყვეტდენ სამოქალაქო საქმეთაც, როგორც მაგალითად, ქორწინების, მემკვიდრეობის და სხვა ამ გვარ საქმეთა. ამისათვის დანიშნული იყო სინოდი კონსტანტინოპოლის პატრიარქის თავმჯდომარეობით და ყოველივე საქმენი, რომელნიც მარტო მართლმადიდებელ ქრისტიანებს შეეხებოდენ, ექვემდებარებოდენ პატრიარქის და სინოდის გარდაწყვეტილებას. საქმის განხილვის დროს სინოდში იღებდენ მონაწილეობას აგრეთვე ზოგიერთა ერის-კაცნიც.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გვარი წესი საქმეთა გამგეობისა არ იყო უნაყოფო ქრისტიანებისათვის და ბევრი სიკეთე და სარგებლობაც მიუნიჭებია მათთვის.

და აი ოსმალეთის მმართებლობა ამ წეს-წყობილებას შეეხო და, რასა თქმა უნდა, რომ ამ გვარი ძალადობა დიდს უკმაყოფილებას და მღელვარებას აღძრავდა მართლ-მადიდებელ ქრისტიანებში. პორტამ განიძრახა ჩამოერთვა პატრიარქისთვის, სხვათა შორის, ქორწინების და მემკვიდრეობის საქმეთა გამგეობა, რაიცა შეადგენს უმთავრესს საგანს იმ ავტონომიისას, რომელიც მართლმადიდებელ ქრისტიანებს აქვთ მინიჭებული, და ამის გამო, ცხადია, რომ არ შეიძლებოდა ოსმალეთის მმართებლობას დათანხმებოდენ ამაზედ მართლმადიდებელი ქრისტიანები. მართლაც-და — გაიგეს თუ არა ოსმალეთის მთავრობის ამ გვარი ვანზრახვა, სულ ერთიანად კალხზე დადგნენ არამცთუ სამღვდელოება, არამედ ყოველნი ოსმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანები; ყოველგან, სადაც კი ქრისტიანები სცხოვრობენ, საშინელი მღელვარება დაეტყო და ყოველი კუთხიდამ წინააღმდეგობა მოისმა. ოსმალეთის მთავრობამ პირველად ყურადღება არ მიაქცია ამ მღელვარებას და ამის გამო პატრიარქმა მაშინვე აიარა თავისი ხარისხი და სინოდმაც მოსპო თავისი მოქმედება. ამ შემთხვევამ, რასაკვირველია, უფრო აღელვა ქრისტიანები და რომ საქმე იქამდინ მივიდა, როდესაც ქრისტიანების საზოგადო და აშკარა აჯანყებას ბევრი აღარა აკლდა-რა, მაშინ კი ინებეს დაფაცურება სულთანმაც და მისმა მმართებლობამაც; ეხლა თითონვე უგზავნიან პატრიარქს შუა-კაცებს და თითქმის ეხვეწებიან — მოდი მოვილაპარაკოთ ერთმანეთში და როგორც იყოს მოვრიგდეთო; მაგრამ პატრიარქი არა თანხმდება და უთვლის, რომ მას დღეს აქეთ, რაც მე პატრიარქობა ავიხადე მე უბრალო ეპისკოპოზი-ღა ვარ და აღარავითარი უფლება აღარა მაქვს მორიგებაზე მოლაპარაკებისაო. სინოდიც თავის მხრივ იმას ამბობს, რომ ჩვენ თავმჯდომარე, პატრიარქი აღარა გვყავს და უიმისოდ არც შეგვიძლიან და არც გვინდა რაიმე საქმის დაწყებაო.

შობის დღესასწაულებმა რომ მოატანეს, მართმადიდებელს ქრისტიანებს მაშინ უფრო დაეტყოთ შფოთვა, რომელიც იქამდინ ძლიერი იყო, რომ სტამბოლის მთავრობა შეშინდა — ქუჩებში უწესოება არა მოხდესო. ამ უწესობას უფრო შობა-დღეს მოელოდენ და ამის გამო სულთანმა შობის წინა-დღეს კიდევ გაუგზავნა შუა-კაცი პატრიარქს და სთხოვა — ხვალ სალმთო მსახურება აღასრულე და ყოველი ეპარქიის ეპისკოპოზს უბძანე, რომ იმათაც აგრეთვე აღასრულონ ამ დღეს დადგენილი ეკლესიური წესიო; ეს საჭიროა იმისათვის, რომ შეიძლება ქრისტიანებმა ურიგობა რამ მოახდინონ ქალაქშიო. პატრიარქმა ამაზედაც ისევ ის უპასუხა, რომ მე აღარა ვარ მმართმადიდებელი ეკლესიის მოთავე და ამისათვის აღარც სალმთო მსახურების აღსრულება შემიძლიან პატრიარქის წესზედ და აღარც არავისი ბძანებაო. ამასთანავე, შეუთვალა პატრიარქმა, რომ ჩემს ხარისხს ისევ ვიტვირთებ, თუ დაამტკიცებ იმ პრივილეგიათ, რომელნიც მართ-მადიდებელს ეკლესიასა ჰქონდა მინიჭებული, და თუ ამაზედ ისეთსავე ბარათსაც მომცემ, როგორსაც იძლეოდნენ შენი წინა-მოადგილენიო. პატრიარქმა თავისი გაიყვანა და შობა დღეს არა სწირა; არც არაფერი უწესობა მომხდარა, რადგანაც მთავრობამ წინადვე მიიღო ამის წინააღმდეგ ზომები; მაგრამ სულთანმა მაინც აცნობა პატრიარქს, რომ ნათხოვნს ბარათს მისცემს იგი და კიდეც ნაბძანები აქვს ამ ბარათის შედგენა.

ბარათის მიცემის თაობაზე მინისტრების რჩევასაც ჰქონია კრება, რომელზედაც მიუწვევიათ აგრეთვე რამდენიმე გავლენიანი ბერძენი. რა გადასწყვიტეს ამ კრებაზე, ჯერ სწორედ არავინ იცის, — მხოლოდ ხმები კია, ვითომც მინისტრები ეწინააღმდეგებოდენ ბარათის მიცემას, და ეს სწორედ ნამდვილიც უნდა იყოს, ე. ი. უეჭველია, სულთანის მინისტრები თავის სიტყვას არ გასტეხენ და პატრიარქს არაფერს დაუთმობენ, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავიანთ ღირსებას დაამდაბლებენ და დაჰკარგავენ ყოველს მნიშვნელობას და ხალხის ნდობას.

მაგრამ ისიც კი უნდა ითქვას, რომ თუ მინისტრებმა არ დააკმაყოფილეს პატრიარქის თხოვნა, მაშინ საქმე ძალიან სა[illegible]არო მიმართულებას მიიღებს და, შესაძლებელია, ეს ჯიუტობა ოსმალეთს სიცოცხლეთ დაუჯდეს. ეს გარემოება კარგად შეუგნიათ ევროპის სახელმწიფოთ და თავისი ელჩების პირით ურჩევენ მართმადიდებელი ქრისტიანების დაკმაყოფილებას. თუმცა პორტას, როგორც ეტყობა, არ უნდა სახელმწიფოთა რჩევის მიღება, მაგრამ საქმე ისე მიდის, რომ სხვა აღარა გზით არ შეუძლიან ქრისტიანების დაწყნარება, თუ არ ულიდგინა მათ ის უფლებანი, რომელთა დარღვევამაც გამოიწვია მათ შორის ესოდენი შფოთი. ამ აზრს ამტკიცებენ თვით ოსმალეთის გამგენიც; მაგ., კუნძული კრიტის გუბერნატორი და სხვა პროვინციების მმართველნი, სადაც კი მართ-მადიდებელი ბერძნები სცხოვრობენ, აცნობებენ თავის მთავრობას სტამბოლში, რომ თუ პატრიარქს არ მოურიგდით, ქრისტიანები უთუოდ საზოგადო აჯანყებას მოახდენენო.

ამასვე ჰფიქრობს საზოგადოდ ავსტრიის პრესსაა, რომელიც ამ საქმეს გულ-მოდგინედ ადევნებს თვალ-ყურს, და ურჩევს ოსმალეთს უთუოდ დააკმაყოფილოს პატრიარქი, თორემ ამ განხეთქილებას სამწუხარო შედეგი მოსდევს ოსმალეთისთვისაო, შეუძლიან აღმოსავლეთის საქმესაც თავი გამოაყოფინოს და ეს გარემოება არც ევროპის საზოგადო მშვიდობიანობისათვის იქნება სასურველი და მიუძლურებულს ოსმალეთსაც სიცოცხლეს მოუსწრაფებსო.

ქრისტიანების აჯანყება ოსმალეთში მით უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი მტკიცედ არიან დარწმუნებულნი — რუსეთი არ მოითმენს მართ-მადიდებელი ეკლესიის შევიწროებას, დაჩაგვრას და — ადრე თუ გვიან — წამოესარჩლება მასაო.

## სხვა-და-სხვა ამბები.

**სიკვდილით დასჯა მწერლისა.** იტალიამ დიდი ნაბიჯი გადასდგა კაცთმოყვარეობაში იმით, რომ მოსპო ესრედ წოდებული, «კანონიერი» სიკვდილით დასჯა ქვეშევრდომთა. ამ საშინელი კანონის გაუქმებაზე, იტალიის გაზეთები იგონებენ ერთს შემაძრწუნებელს ამბავს, რომელიც მოხდა წარსულს საუკუნეს. 1720 წელს, 5 თებერვალს, რომში მოჰკვეთეს თავი ერთის ავსტრიელი ჟურნალის კორესპონდენტს, რომელსაც პაპა კლი-

მენტი მეთერთმეტეზე დაებეჭდინები-ნა საწყენი ცნობები. ეს უბედური კორესპონდენტი იყო ფრიად ნასწავლი და ნიჭიერი აბატი, გაეტანო ოლპინი. როდესაც მიჰყავდათ დასასჯელად, თურმე, სადღესასწაულო ტანისამოსში, გაეტანო ოლპინი აქეთ-იქით თავს უკრავდა შეგროვილს ხალხსა და თვით ეშაფოტზედ ისე ავიდა, თითქო ქორწილში მიემხადება.

ამ ამბის წაკითხვაზე, ვინ იცის, დღესაც რამდენმა დაიკრას გულზე ხელი, რომ ჩვენებური კორესპონდენტები თავისუფალნი არიან ამგვარი «კანონიერი» სასჯელისაგან.

—

**გამბეტას მამა.** «ფიგარო»-ში სწერია, ვითომც გამბეტას მამა ჯვარს იწერდეს. ამ სამოცდა-ათის წლის მოხუცს ამოურჩევია მეუღლედ თავისი მოახლე, მარიამი ბრა, ორმოცდა-ხუთის წლის ქალი, ჯერ კიდევ სასიამოვნო სახის დედა-კაცი. ასეთმა მოულოდნელმა ამბავმა ცუდი შთაბეჭდილება იქონია მთელს საფრანგეთში და მეტადრე კაჰორში, სადაცა სცხოვრებს თვით მოხუცი და სადაც ყველას ახსოვს წარჩინებული ლეონ გამბეტა ყმაწვილობიდგანვე. ამბობენ, რომ ბერი-კაცმა თავი დაანებოს ამ უცნაურს წადილს. მეტადრე ეხლა, როდესაც კაჰორში ერთი მზადება აქვთ სტატუა დაუდგან გამბეტას, «კაჰორის დიდებულს შვილსა», რომელმაც საუკუნოდ გაუთქვა სახელი ამ პატარა ქალაქს, თავის სამშობლოს. სტატუაზე გამბეტას მარჯვენა ხელი ექნება დაბჯენილი ხმალზედ და მარცხენით ანიშნებს მტერზედ. ფეხთით უნდა ეწვას მომაკვდავი სალდათი.

— **მეათასე ცოლი.** წარსულს ნოემბერში, მაროკოს სულთანმა, სიდი-მულიჰასანმა, თავის ჰარამხანაში დაისვა ცოლად ერთი ახალგაზდა ქალი კიდევ. ამ ბედნიერი ქალის აყვანით, სულთანმა თავისი მრავალი ცოლების რიცხვი ქმნა ათასად შეასრულა. ამისთანა მცირფასი და დაუვიწყარი შემთხვევისათვის, სულთანის სასახლეში გარდაიხადა ჩინებული დღესასწაული, ჰარამხანის სასარგებლოდ.

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

**23 იანვარს.**

**მოსკოვი.** დღეს სამსჯავრომ განიხილა მოსკოვის სავაჭრო ბანკის ფულების დახარჯვის საქმე და დაადგინა: ვლასოვს, გუბკინს და ტრუბჩანინოვს ჩამოერთვათ ყოველი საკუთარი უფლება და უადრესობა და გაიგზავნონ საცხოვრებლად ტომსკის გუბერნიაში — პირველნი ექვსის, ხოლო უკანასკნელი ოთხის წლით; ამასთანავე სავაჭრო ბანკის დასაკმაყოფილებლად გადახდეს ვლასოვს 99,698 მანეთი, გუბკინს 16,000 და ტრუბჩანინოვს 25,000 მანათი.

**ორიოლი.** საბჭოს ხმოსანნი სთხოვენ მმართებლობას ერ ასესხოს ქალაქის საზოგადო ბანკს 2,300,000 მანათი, რადგანაც ეს სესხი ბანკს არას შეჰმატებს და ქალაქსაც ხარჯი მოემატება.

**პარიჟი.** იმის გამო, რომ ოსმალეთი იძულებულ-ჰყონ შეასრულოს ბერლინის ტრაქტატის ფინანსური დადგენილებანი, სხვადა-სხვა პარიჟის ფინანსურთ დაწესებულებათ, აგრეთვე ინგლისელმა და ჰოლანდიელმა ოსმალეთის ქაღალდების მფლობელებმა გაგზავნეს პეტერბურგში ვექილი, რომელსაც მინდობილი აქვს მოელაპარაკოს რუსეთის მმართებლობას შესახებ ოსმალეთის სახელმწიფო ვალისა.

**კაირი.** აჯანყებულები დაეცნენ სუაკიმთან გამაგრებულს ბანაკს; ერთი საათის ბრძოლის შემდეგ უკან დაიწიეს. ეგვიპტის მმართებლობამ გაგზავნა კაირიდამ ბეკერ-ფაშასთან ნეგრების რაზმი, რომელშიაც 600 კაცია.

**ტრინკატე.** სინკატის გარნიზონი ქალაქიდამ გამოვიდა ცხენების საკვებავის მოსაპოვებლად; მტერმა ყველანი ამოსწყვიტა.

**ლონდონი.** მინისტრების რჩევამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს პარლამენტის წინაშე, რათა დანიშნოს მან ორი მილიონი გირვანქა სტერლინგი შინაური პორტების და კოლონიების შემოზღუდვისათვის მტრის მოსაგერებლად.

**24 იანვარს.**

**პეტერბურგი.** გუშინ მათმა იმპერატორებით დიდებულებათ ნახეს პაჟების კორპუსი.

**მოსკოვი.** მოსკოვის ბირჟის ვაჭრების ამომრჩეულთა კრებაზე დაადგინეს: მოახსენონ ფინანსთა მინისტრს, რომ საჭიროა: 1) ამ მოკლე ხანში მთელი ტამოჟნის ტარიფის გარდახილვა და, თუ გარდახილვის ნებას დართავენ, საჭიროა მაშინვე შეუდგნენ ტარიფის შემუშავებას თავის მოსაზრებათა წარსადგენად მმართებლობისადმი, და 2) ამოირჩიონ ექსპერტები იმ კომისიისთვის, რომელიც უკვე არსებობს პეტერბურგში ტარიფის გარდახილვისთვის.

**პარიჟი.** აქაური კრედიტის დაწესებულებანი «კრედი-დე ფრანს» და «კრედი-დე-პარი» გაკოტრდნენ.

# განცხადებანი

**მიხეილ ქაიხოსროს-ძეს ყიფიანს**

ჰაურს აძლიოს გაკვეთილები ქართული ენისა, ლიტერატურისა და ისტორიისა და აგრეთვე გიმნაზიის კურსიდგან მატემატიკისა და ფიზიკა—ქიმიისა. (3—2)

---

**გრიგოლ ლოლაძე**

უცხადებს გორის მაზრის კეთილ-შობილთ, რომელ ქალაქს გორში გავაღე კანტორა და ვადგენ «ვიკუპნის დავაოურებს» მებატონეთა და გლეხთა შორის მამულების შესყიდვაზედ, და ვინც ისურვებს შეუძლიანთ მობრძანდნენ ჩემს კანტორაში რომელიც არის დიდ ქუჩაზედა. (5 – 2)

---

# ინგლისის მაღაზია

**Maison de confiance**

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—[illegible]0 | — — 1—80 |
| — — 1—6[illegible] | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავატები, პაპიროსის ქაღალდი, ჩაიდნები, გასაღები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისხდის. (100—73)

---

# ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25% -ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადხოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაოები, ჩაფუმები, გრაფინები, საქაშური, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარზიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, ავეჯები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჯები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, გატერპერუფები, საბნები, ნუღქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკოტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—49)

---

# პ. წულუკიძის სტამბა

**ქუთაისში**

დაიბეჭდა და გამოვიდა ქართული

**«კედლის კალენდარი»,**

სადაც არის სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი.

—

ისყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთაველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი. (30—17)

---

ინგლისის მაღაზიაში

# თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—87)



# მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიროპები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

**კუნწულა**, ანუ მოთხრობანი მოზრდილთა ყრმათათვის, წიგნი პირველი ი. გოგებაშვილის რედაქციით, გამოვიდა სტამბიდგან და ისყიდება გამომცემლის გრიგორი ქურთოვის წიგნების მაღაზიაში. ფასი ორი აბაზი; ათი ეგზემპლიარის მსყიდველს წიგნი დაეთმობა 33 კაპეიკათა —

**ხომლი**, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილთა ყრმათათვის, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, ისყიდება იქვე; ფასი ექვსი შაური; ათი ეგზემპლიარის მყიდველს წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათა.

**კარტა საქართველოსი**, გამოცემა მეორე, შედგენილი მისგანვე, ისყიდება იქვე, ფასი სამი აბაზი; ათი ეგზემპლიარი მყიდველს კარტი დაეთმობა ათ შაურათა. —

(10—7)

ჟურნალი

## „ქართული ბიბლიოთეკა“

(წელიწადი მეორე)

ამ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ქართული ბიბლიოთეკა» გამოვა ყოველ თთვე-და-თთვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის მოწერა მიიღება:

ქუთაისში: «ქართული ბიბლიოთეკის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება თბილისის ქუჩაზედ დ. ლორთქიფანიძის სახლში.

თბილისში: ბ. ზაქარია ჭიჭინაძესთან, ხარჯვიანის წიგნის მაღაზიაში.

გორში:—ეკ. ფურცელაძისას.

ბათუმში.—იულია დავითის ასული ჩხეიძისას.

ფოთში:—ნ. ტ. მ. ქაროვისას.

ფასი მთელის წლისა 6 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებნი ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი:

Въ Кутаисъ, въ редакцію журнала «ГРУЗИНСКАЯ БИБЛІОТЕКА».

ხელდური ფული ხელის-მომწერთა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

რედაქტორი—გამომცემელი ეკ. ლორთქიფანიძისა.

(10—10)

*ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕННАГО ГУБЕРНАТОРА КАРСКОЙ ОБЛАСТИ*

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ

# „КАРСЪ“

## На 1884 годъ.

Газета „Карсъ“ въ 1884 году будетъ издаваться совершенно на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.

**условія подписки:** съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, за четыре мѣсяца одинъ рубль. Подписка принимается въ Канцеляріи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

**Отъ редакціи.** Газета „Карсъ“ имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе новопріобрѣтенной Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея развитію и благоустройству. Цѣль эта Можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица имѣющія по своему положенію возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ ихъ рукахъ свѣдѣній и матеріяловъ: поэтому мы просимъ этихъ лицъ не отказать намъ въ своемъ участіи и поспѣшить присылкою въ порядокъ и сообщеніемъ редакціи находящихся у нихъ матеріяловъ; самая разработка этихъ матеріяловъ можетъ быть сдѣлана и въ редакціи, а потому литературные недостатки ихъ ни малѣйшимъ образомъ не должны стѣснять авторовъ ожидаемыхъ сообщеній.

(—4)

საკლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საგანტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კონვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკი, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარცები ფურცლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, ფაქარა ხალხის ასტაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეჭდები, ზარები, ზანოგლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები. მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, ჯომი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრი, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაგინტოშები, კრავატი, საქმით ქაღალდი კარტ-ვიზიტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ.

(100—22)

## სტამბა

ეფთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართონ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—27)

## ОБЪ ИЗДАНІИ ВЪ 1884 ГОДА ЖУРНАЛА

# „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(годъ четвертый)

**Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:**

I. Статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теоріи права и судопроизводства.—II. Перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.—III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края.—IV. Корреспонденціи юридическаго содержанія.—V. Краткіе отчеты о новыхъ книгахъ юридическаго содержанія (Обзоръ юридической печати и библіографія).—VI. Смѣсь (разныя извѣстія). Случаи изъ судебной жизни и практики.—VII. Тезисы кассаціонныхъ рѣшеній: а) кассаціонныхъ департаментовъ сената, и б) Тифлисской судебной палаты.—VIII. Извлеченіе изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи.—IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ.—X. Объявленія—казенныя и частныя.

При всей трудности изданія юридическаго органа на далекой окраинѣ Россіи, необходимость и полезность такого органа на Кавказѣ доказывается вступленіемъ «Юридическаго Обозрѣнія» въ четвертый годъ своего существованія. Въ настоящее время редакція заручилась сотрудничествомъ многихъ юристовъ, врачей и публицистовъ. Мы можемъ указать, какъ участниковъ въ нашемъ журналѣ: К. Д. Анциферова, Д. З. Бакрадзе, Ѳ. А. Быкова, Ф. К. Бакало, Кн. К. А. Бебутова, Г. Г. Гвиніева, А. А. Гребенщикова, С. І. Гулишамбарова, Н. А. Дингельштета, К. В. Долгова, Г. А. Джаншіева, Г. И. Еджубова, Д. И. Кипіани, Д. В. Квиркелія, П. И. Ковалевскаго, П. М. Лебединскаго, Я. И. Лудмера, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, Д. П. Пурцеладзе, Я. И. Рашета, Н. П. Смиттена, В. Д. Спасовича, А. В. Степанова, А. А. Фонъ-Ашеберга, В. А. Хлѣбникова, Н. А. Шаврова и др.

Въ распоряженіи редакціи имѣются статьи, какъ мѣстнаго кавказскаго, такъ и общаго интереса. Изъ числа ихъ предназначены къ печатанію въ 1884 году: матеріалы для новыхъ уложеній—Уголовнаго и Гражданскаго, о водовладѣніи на Кавказѣ и другихъ мѣстахъ по законамъ: царя Вахтанга, шаріату и др., о межеваніи, о пошлинахъ, о литературной и музыкальной собственности, о нефтяныхъ законахъ въ разныхъ странахъ, о колоніяхъ преступниковъ, о сельской адвокатурѣ, о безпріютныхъ дѣтяхъ, о формѣ суда присяжныхъ на Кавказѣ, о хизанахъ, о саношенахъ, о древне-армянскомъ законодательствѣ (изслѣдованія Мхитара-Гоша), о мусульманскихъ законахъ на Кавказѣ, о древне-еврейскомъ законодательствѣ и пр.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Редакція и Администрація журнала (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. Меликова.

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 20 к.; на 1 мѣс.—1 р. 25 к. Подписываться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ: при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.

При перемѣнѣ адреса вносятъ 40 к.

Объявленія, казенныя и частныя—строка петита 10 коп., ½ страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 руб. 50 коп.

Подписка и объявленія принимаются также въ Москвѣ и Петербургѣ, въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Отдѣльные №№ «Юрид. Обозр.» продаются по 25 коп. въ Тифлисѣ, въ Центральной книжной торговлѣ и въ г. Кутаисѣ, въ книж. маг. Чиладзе.

Статьи должны имѣть подпись и адресъ ихъ автора, для свѣдѣнія редакціи, и могутъ подлежать передѣлкамъ и сокращеніямъ.—Статьи безъ означенія условій гонорара признаются безплатными.—Обратная пересылка рукописей для редакціи не обязательна.

При доставленіи въ редакцію «Юридическаго Обозрѣнія» экземпляра юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація.

(8—6)

*Довв. ценз. Тифлисъ, 24 Января 1884 г.* ხელაძის სტამბა (*Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.